პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქართველოს კ. პ. (ბ) შინაგრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრული დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1946 წ. № 94 (7567) ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲛᲭᲘᲤᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ. „პრავდის“ 10 მაისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲛᲝᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ! (1-ლი გვერდი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ. კოლმეურნეობებსა და სამეურნეო ბალახებზე მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ (მე-2 და 3-ე გვერდი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ (მე-3 გვერდი).

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲕᲚᲘᲡᲛᲝᲜᲐᲕᲘ (მე-3 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ (მე-4 გვერდი).

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲛᲭᲘᲤᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ახალი სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული პროგრამა გვისახავს ამოცანას: მძიმე ინდუსტრიისა და ტრანსპორტის პირველ რიგში განვითარებასთან ერთად მივაღწიოთ სოფლის მეურნეობისა და მოხმარების საშუალებათა დამაჯაჭადებელი ძლიერ წველილობის აღმავლობას. უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძატრიოტული კეთილდღეობა და შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძრიოლად საკმარისი სიუხვე. მარტო ერთ ხუთწლედში ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1940 წელთან შედარებით უნდა გადიდეს 27 პროცენტით. ჩვენმა მინდორებმა ხუთწლედის ბოლოს უნდა მოგვცეს იმდენი პური, ბამბა, ჭარხალი და სელი, ხოლო ჩვენმა ფერმებმა—იმდენი ხორცი, რძე, ერბო-კარაქი და მატყელი, რამდენიც ჯერ არასოდეს არ მოუცია.

მინდვრების მოსავლიანობისა და ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის საერთო მოსავლის გადიდების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება მოითხოვს მეწარმეობრივ კულტურის მნიშვნელოვან ამაღლებას და მოწესიგე აგრონომიული მეცნიერების ფიფოვანთა ფართო გამოყენებას. ჩვენი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება კიდევ უფრო კულტურული და ორგანიზებული უნდა გახდეს. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლს შეასრულებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახთესვის გაფართოებისა და მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“, რაც დღეს ქეყნდება.

ბალახთესვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების გაღიდებისა და მეცხოველეობის მტკიცე საკვებ ბაზის შექმნისათვის. მოწინავე აგრონომიულმა შეცნიერებამ დაამტკიცა, ხოლო კოლმეურნეობათა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ განვითარებული ბალახთესვის გარეშე ვერ უზრუნველყოფთ ვერც მტკიცე ეზე მოსავალს, ვერც მეცხოველეობის საამქოო ფიფოვლობას. გადაკრბენილი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბალახთესვა ნიადაგის პროგრესიული ნაყოფიერების და მინდვრების მოსავლიანობის გადიდების დაკრეტელ ეზეა წარმოადგენს. მაღალგანვითარებული ბალახეულის გარეშე არ არსებობს სწორად ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ბალახთესვის მდგომარეობა განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების არა მარტო ფეოვანდელ დონეს, არამედ მის ხვალინდელ დღესაც, მის მომავალს.

ომამდელ წლებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს მრავალწლიანი ბალახების ნათესთა სეროიანზედ გაფართოებას და მოსავლიანობის გადიდებას. მარტო 1936-1940 წლების პერიოდში მრავალწლიანი ბალახების ნათესები 2,5 მილიონ ჰექტარიდან გადიდდა 5,4 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო სათიბები —4,0-დან 9,3 მილიონ ჰექტარამდე. თუმცა, ბალახთესვის განვითარების დონე არც ამ წლებში შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ. ეს დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამებოდა სწორი თესლბრუნვის ათვისებისა და მეცხოველეობის მტკიცე საკვებ ბაზის შექმნის ამოცანებს. მაგრამ იგი იყო ის ბაზა, რომელზეც განუხრელად მაღლდებოდა ჩვენი მიწათმოქმედების კულტურა, დიდდებოდა მოსავლიანობა, იზრდებოდა პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების რესურსები.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ომის განმავლობაში მრავალწლიანი ბალახების სათესი და სათიბი ფართობები მნიშვნელოვნად შემცირდა. სწორი არ იქნებოდა ეს მოვლენა აგვეხსნა მხოლოდ ომიანობის დროის სიძნელეებით. ბალახთესვის სუტი განვითარების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი ხელმძღვანელი სათანადოდ ვერ აფასებს ბალახთესვის მნიშვნელობას. აქედან წარმოსდგება ბალახების ნათესთა შემცირებაც, მათი მოყვანის დაბალი აგროტექნიკაც და სათესი ნაკვეთების მოსავლის დაუდგენრი აღებაც, რაც ფუვეს მნიშვნელოვან დანაკარგებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავის დადგენილებაში ჰგმობს უყურადღებო დამოკიდებულებას ბალახთესვისადმი და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს ავალებს „ბოლო ძიერონ ბალახთესვის მნიშვნელობის შეუფასებლობას და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნათესთა მნიშვნელოვნად გაფართოებისა და ნათი მოსავლიანობის გასადიდებლად, მიაჭნა რა ეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად სოფლის მეურნეობის დარგში“.

მოაკრობამ დაიწესა დავალება მრავალწლიანი ბალახების სათესი ფართობებისა და თესლის მოაკლის გადიდების დარგში მომავალი ხუთწლედიათვის. 1950 წელს ბალახების ნათესები კოლმეურნეობებში უნდა გადიდდეს 8 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო სათიბები—15.300 ათას ჰექტარამდე. მომავალ წელსვე ბალახთესვის დონენ უნდა გადაეპარნოს ომამდელს. 1947 წლიდან თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ საკვალდებულო წესით უნდა აწარმოოს მრავალწლიანი ბალახების თესვა და ბალახების საკუთარი თესლით უზრუნველყოს თავისი თავი მათთვის დამტკიცებული ახალნაწილი ბალახების შესაბამისად.

მოაკრობის მიერ დაწესებულ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლა აერთიანებულ ღონისძიებებს მოითხოვს. მაგრამ ეს დავალებანი შეიძლება და კიდევაც უნდა შეასრულოს თვითეულმა ოლქმა, რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ. ამისათვის განუხრელად უნდა განხორციელდეს მთავრობის მიერ დასაბული ღონისძიებანი მრავალწლიანი ბალახების თესლის მოსავლის, დამზადებისა და გაყიდვის, მეთესლეობისა და მათი მოყვანის აგროტექნიკის დარგში. ამისათვის ფართოდ უნდა იქნას განხორციელებული მრავალწლიანი ბალახების თესლის მოყვანის წარმატებით მუშაობისათვის წახალისების ღონისძიებანი და გაძლიერდეს ყველა კოლმეურნის ბრძოლა ბალახთესვის განვითარებისათვის.

ახალ ხუთწლედში ბალახთესვის განვითარება ბევრად იქნება დამოკიდებული ბალახების თესვის დარგში დადგენილ შესრულებაზე მიმდინარე წელს. მთავრობამ დაადგინა უზრუნველყოფილ იქნას 1946 წელს მრავალწლიანი ბალახების თესვის საჭიროწყო გეგმის აუცილებელი შესრულება, სათესლე ნაკვეთების დატოვება, აგრეთვე სათესლე ნაკვეთების სათანადო მოვლა. მათი მოსავლის დროზე აღება, გალეწვა და გამოფშვნა. ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრ ოლქში მხარეებსა და რესპუბლიკებში ბალახების თესვისადმი ყურადღება მიმდინარე წელს შესაბამისად გაძლიერდა. დამახასიათებელია უკრაინის ბევრი კოლეკტიურობის მაგალითი, რომლებმაც მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს მათთვის დაწესებული დავალებანი. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ბალახების თესვა წელსაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამ რაიონებს ეკუთვნის, კერძოდ, ზოგიერთი ცენტრალური რაიონი. საკვირაოა ისა შეგნება, რომ ბალახების ფესვები ჩამორჩენა ისევე შეუწყარებელია, როგორც ჩამორჩენა მაცალეულ და ტექნიკური კულტურების თესვაში. საკვირაოა ამის შეგება და გეგმის აუცილებელი შესრულება.

დიდი საბჭოთა ქვეყანა შვიდი ფაშისტურ ფერმანიაზე ჩვენ გამარჯვების მეორე წელში. გამარჯვების დღის აღსანიშნავ გუშინდელ სალუტის ზალპებში საბჭოთა ადამიანებმა გაიგონეს მძლავრი მოწოდება ახალი მიღწევებისაკენ. სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი ჩვენი ხალხი კიდევ მეტი ენერგიით აჩაღებს მუშაობას ხუთწლიანი გეგმის გრანდიოზულ დავალებათა განსახორციელებლად. მის სახელოვან მეწარეებში არიან კოლმეურნეები. მათ დაუღალავად მიპაყავთ წინ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ისინი მისწრაფიან მაღალი პატრიოტული მიზნებისაკენ—მიწათმოქმედების ახალ-ახალი წარმატებით კიდევ უფრო ამაყლონ საყვარელი სამშობლოს ღირსება, დიდება და ძლიერება.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ, 10/V.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲕᲒᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 537.598.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘ

9 მაისს საღამოს 8 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ადგენილისა და განვითარების სახელმწიფო სესხი გავრცელებული იყო 537.598.000 მანეთის რაოდენობით. ეს გასავრცელებლად ნავარაუდევ თანხას 24.598.000 მანეთით აღემატება.

სესხზე ხელმოწერის თანხების ნაღდ ფულად შეტანა წარმატებით მიმდინარეობს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, მახარაძის, თბილისის, ქუთაისის, ქვემო სვანეთის, ლენინხუთის, ხაშურის, ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ვანის, დუშეთის, ბოლნისის, ყარაიის, ქლუხორის, ლაგოდეხის, ონის, ფოთის, საჩხერის, თელავის, ხობის, ცაგერის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონებში.

სესხზე ხელმოწერის თანხების ნაღდ ფულად შეტანაში ჩამორჩენენ გურჯაანის, ზემო სვანეთის, საგარეჯოს, მაიაკოვსკის, თიანეთის, კაჭეთის, წალკის, ჭიათურის, ამბროლაურის, ზესტაფონისა და ახმეტის რაიონები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ 1945 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲗᲐ ᲨᲔᲛᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რესპუბლიკურმა კომისიამ განიხილა 1945 წელს სოფლის მეურნეობის დარგში დავალებათა შესრულებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის საქართველოს სსრ რაიონების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გადაწყვიტა სასოფლო-სამეურნეო საშუშაოთა გეგმის და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დადგენათა შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნობილ იქნან შემდეგი რაიონები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები:

ა) წითელწყაროს, გორის, მახარაძის და ამბროლაურის რაიონები; გადაეცეთ მათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები დამიეცეთ ფულადი პრემიები სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დასაჯილდოებლად;

ბ) ახალსოფლის, ასურეთის, ზუგდიდისა და ქუთაისის მტს-ები; გადაეცეთ მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მადლობა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა სამჯოს დაადგინა გადიდეს 1945-46 სასწავლო წლიდან სწავლების ბანგრძლივობა საქართველოს სსრ სკოლებში ერთი წლით და დაწესდეს შემდეგი ვადები: 11 წლიანი იმ სკოლებისათვის, სადაც ამჟამად სწავლება 10 წელ. გრძელდება, და 8 წლიანი იმ სკოლებისათვის, სადაც ამჟამად სწავლება 7 წელს გრძელდება.

დაწესებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საერთო-საგანმანათლებლო სკოლების შემდეგი სახელწოდებანი: 8-წლიანი სკოლა —იმ სკოლებისათვის, სადაც სწავლება 8 წელს გრძელდება და საშუალო სკოლა—იმ სკოლებისათვის, სადაც სწავლება 11 წელს გრძელდება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებული აქვს შეიტანოს სათანადო ცვლილებანი 8-წლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში 1946-1947 სასწავლო წლიდან.

ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲛᲮ. 3. Მ. ᲛᲝᲠᲪᲮᲝᲕᲝᲜᲐᲖᲔ

პარიზი. 7 მაისი. (საკდესი). დღეს, 7 მაისს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო გამრთა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე მყოფ ამერიკელ, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციათა პატივსაცემად.

მიღებაზე იყვნენ: ამერიკის დელეგაცია ბ-ნ ბირნსის მეთაურობით, ინგლისის დელეგაცია ბ-ნ ბევინის მეთაურობით, საფრანგეთის დელეგაცია ბ-ნ ბიდოს მეთაურობით, აგრეთვე საფრანგეთის თავრობის მინისტრები მინისტრთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ფელიქს გუეინოს და მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეების მ. ტორეზისა და ფ. გეს მეთაურობით, აგრეთვე საფრანგეთის პოლიტიკური პარტიების ლიდერები, გაზეთების რედაქტორები და საფრანგეთის მეცნიერებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები.

ᲓᲐᲠᲒᲐᲑᲝᲜᲗᲐ ᲡᲝᲠᲑᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲨᲭᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

პარიზი. 10 მაისი. (საკდესი). 9 მაისს პარიზის უნივერსიტეტის რექტორმა რუსიმ სორბონში საგარეო საქმეთა მინისტრებს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა, ბევინმა, ბიდოს, ბერნსმა, ფ. ტ. გუსეინი. ინგლისის დელეგაციის მხრივ სადილზე იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ბევინი და მისი თანაშემწეები. ამერიკის დელეგაციის მხრივ—სენატორები კონელი და ვანდენბერგი.

სადილზე იყო აგრეთვე საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე მორის ტორეზი.

ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲦᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ 1946 ᲬᲚᲘᲡ—ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲜᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲯᲒᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲠᲐᲕᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘ ᲛᲔᲬᲘᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ, ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

ხალხთა ბრძენი ბელადის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება — გაიგამტეხა ფაშისტური ვერმახია და იმპერიალისტური იაპონია.

ცხრა მაისს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იზეიმა გამარჯვების დღე — სამამელო ომის დამთავრების პირველი წლისთავი.

განვლილი წელი იყო სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და დიდების წელი.

მშვიდობიანმა პერიოდში შესულისთანავე მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა მუშაობა ომით მოუყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად და სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი შეუდგა მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას.

„ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა საპრეზიდიუმოო ბრძანებაში, — ხუთწლიანი გეგმა მოიღეს, როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც მათს საარსებო პირობებს შეეხებაშია. შეიძლება ითქვა ეიქნნიათ, რომ საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, არ დაიშურებენ ძალებსა და შრომას იმისათვი, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი“.

მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახული დიდი ამოცანების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება.

ნაწილი ქარხნის კოლექტივი გამოეხმაურა საპრეზიდიუმოსო შეჯიბრების ინიციატორად საქართველოს მრეწველობასა და ტრანსპორტზე. მან ახალი წარმატებები მოიპოვა და თავი გამოიჩინა ბრძოლებსა გადაჭარბებით შესრულებაში. თებერვლისა და მარტის მაჩვენებლებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენ მეორე ადგილი დავიკავეთ: იანვრიდან მოისაზმი ქვეყანა გეგმის გადამეტებით მივიეთ 7 დაზგა და ნაკისრი ვალდებულებები ნაცვლად 107 პროცენტისა 120 პროცენტით შეეასრულეთ. აპრილისთვის ორი ახალი ტიპის დაზგის — გამაკურრებელ-საყალიბო და გამასწორებელ-გასაკრიალებელი დაზგების, გამოშვება. შრომის ნაყოფიერება გავადიდეთ 16 პროცენტით, „დის-300“ ტიპის დაზგა თვითიერებულება შევამცირეთ 15 პროცენტით, გავსწიეთ 22.500 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია, შოვამზადეთ 31 კვალიფიციური მუშა, მოვაწყვეთ ლიფტების გამოშვება ნაკადური მეთოდით.

მეოთხე სტალინური ხუთწლედი ჩვენს წინაშე ახალ, უაღრესად პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს. 1950 წელ. უნდა გამოვუშვათ 4-ნახევარჯერ მეტი დაზგა, ვიდრე 1946 წელს.

ბირმასა ვიძლევიდი ეს დავალება მთლიანად შეეასრულოთ.

შემოვაკეთეს ნონახადიდება გავაძლიერთ საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტის, საწარმოებისა და ახალ მშენებლობათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება 1946 წლის — მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადაზე ადრე, გადაჭარბებით შესრულებისათვის. ჩვენი ქარხნის კოლექტივი შეჯიბრებაში ვისრულებს შემდეგ ვალდებულებებს:

1. გადაჭარბებით შეასრულოს თეორიი საწარმოო დავალებები, ხოლო წლიური გეგმა სტალინური კონსტიტუციის დღის — 1946 წლის 5 დეკემბრისათვის; წლის ბოლოდეე დარჩენილ ვადაში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 20 დაზგა და 700.000 მანეთის ღირებულების სხვა პროდუქცია.

2. 1946 წლის ბოლოდეე აითვისოს და გამოუშვას 6 ახალი ტიპის დაზგა.

3. გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 17 პროცენტით და წლის ბოლოსათვის „დის-300“ დაზგის თვითიერებულება შარშანდელ თვითიერებულებასთან შედარებით შეამციროს 35 პროცენტით.

4. წლის ბოლოდეე გასწიოს 175.000 კილოვატსაათი ელექტროენერგიისა და 25 ტონა საწვავის ეკონომია.

5. 1946 წლის დასასრულამდე დაამთავროს ახალ მოწყობილობათა მონტაჟი, უზრუნველყოს მათი სრული დატვირთვა და რაციონალურად გამოყენება.

6. ივნისში საექსპლატაციოდ გადასცეს დეტალების ელექტროწრთობისათვის საჭირო მალალი სიხშირის დენის მიმღები დანადგარი.

7. მოამზადოს 60 კვალიფიციური მუშა.

8. რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებით წლის ბოლამდე საზეკმეწიფოს მისცეს სულ ცოტა 200.000 მანეთის ეკონომია.

9. მესამე კვარტალში დაამთავროს მუშათა საერთო საცხოვრებლების რემონტი და 1 ოქტომბრისდე — ქარხნის მომზადება ზამთრისათვის.

10. შეასრულოს ქარხნის დამზმარე მეურნეობაში თესვის გეგმა, გაზარდოს მოსავლიანობა და ამით ხელი შეუწყოს მუშათა კვების გაუმჯობესებას.

ამაზე, ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1946 წლის საწარმოო დავალებათა გადაკარბებით შესრულებისათვის, უზრუნველყოფთ ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს კავშირს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულოინამფუვეელს!

სახელი და დიდება ბრძენ ბელადსა და მზედართმთავარს — შშობლიურ სტალინს!

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივის დავალებათ:

ქარხნის დირექტორი ი. ხუდოფლიანი, პარტორგანიზაციის მდივანი ქ. ბოგდანიძე, მთავარი ინჟინერი ვ. კოლოსოვსკი, სამეურნეო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ბოგდელიძე, საამქროთა უფროსები — მ. ფუროძე, დ. ბოგბოლაძე; კომკავშირის ნაკრების კომიტეტის მდივანი ბ. პაიფაძე, ზეინკლები—ა. ბენდიანიშვილი, ი. ფიცხელაძე; მეჯოდელ მ. ბიბოლი, მრავლდავი პ. სოლოლიციანი, ხარატი ი. კეკრიაძე, ამწეკობი ზეინკლები ვ. ხანანი და რ. ფელიძე.

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხანაში გუშინ შესდგა მიტინგი, მიტინგმა ერთხმად მიიღო მიმართვა მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა ვადაზე ადრე და ადრე რიგებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორ მეჯოდელ ბ. ბიბოლი. ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: საქართველო მიტინგზე პარტორგანიზაციის მდივანი ქ. ბოგდანიძე ეთაფლიანს მიმართავს

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲒᲐᲬᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახთესვის მდგომარეობა, რასაც გასაკვირვებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, აგრეთვე მეცხოველეობისათვის ტაიტეე საკვები ბაზის შესაქმნელად, არადამაკმაყოფილებელია. მიუხედავად იმისა, რომ ომის წინა წლების მანძილზე მრავალწლიანი ბალახების ნათესები გადიდდა 1936 წლის 2,5 მილიონი ჰექტარიდან 5,4 მილიონ ჰექტარამდე 1940 წელს და სათიბები 4,0-დან 9,3 მილიონ ჰექტარამდე, ბალახთესვის განვითარება ამ წლებშიც არ შეიძლება საკმაოდ ჩაითვალოს სწორი თესლბრუნვის თვალსაზრისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. ომის მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების ნათესები და სათიბები მნიშვნელოვნად შემცირდა. მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის და მათი თესლის მოსავლის ეკვეთრი შემცირების შედეგად ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს თავის თავს საკუთარი ბალახების თესლით და ვერ ასარულებს მათთვის დაწესებული მრავალწლიანი ბალახების თესლის სახელმწიფო გეგმებს.

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭო სთელის, რომ ბალახთესვის სუსტი განვითარების ძირითადი ბიზნი, უწინარეს ყოველისა, ის არის, რომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელძღვანელები ჯერ-როგანად ვერ აფასებენ ბალახების მნიშვნელობას და უყურადღებობას იჩენენ ამ უმნიშვნელოვანესი საქმისადმი. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ბალახების მოკვეანის აგროტექნიკა დაბალ დონეზეა—როგორც წესი, ბალახებს დროულად არ სთესავენ, ხოლო ბალახის თესლის აღება, გალეწვა და გამოფშვნა ხდება დიდი დაგვიანებით, რაც იწვევს ბალახების თესლის მოსავლის, ენიშნველოვან დანაკარგს.

ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში დიდად შემცირდა მთელი რიგი ძვირფასი მაღალმოსავლიანი ადგილობრივი სამყურის და სხვა მრავალწლიანი ბალახების ნათესი. ამავე დროს ადგილობრივ საბჭოთა და სამეწყობოთმეკვლელ ორგანოებს მუშაკთა მოსაზრებით, რაც ითით გამოიხატება, რომ მრავალწლიანი ბალახების თესლის ნაკლებობა ანისზეაურად სხვა რაიონებიდან შეზიდვით, ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მთლიანად უზრუნველყონ საკუთარი ბალახეულის თესლით.

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭო საბჭოთა ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება და მეცხოველეობის შემდგომი განვითარება დაკავშირებული მრავალწლიანი ბალახების ნათესის ყოველმხრივ გაფართოებასთან.

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭო ავალებს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს ბოლო მოეფინონ ბალახთესვის მნიშვნელობის შეეფასებლობას და მიიღონ სპეციალური ღონისძიებანი ნრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნათესთა მნიშვნელოვნად გაფართოებისა და მათი მოსავლიანობის გასადიდებლად, მიაჩნია რა ეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად სოფლის მეურნეობის დარგში.

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

I.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. დაეკალოთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროსა, სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს 1946 წელს უზრუნველჰყონ მრავალწლიანი ბალახების ნათესის, სახელმწიფო გეგმის, სათესლე ნაკვეთების დატოვების სახელმწიფო გეგმის აუცილებელი შესრულება, აგრეთვე სათესლე ნაკვეთების სათანადო მოვლა, მათი მოსავლის დროული აღება, გალეწვა და გამოფშვნა.

2. დაწესდეს, რომ 1947 წლიდან თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ სავალდებულო წესით უნდა დათესოს მრავალწლიანი ბალახები და უზრუნველჰყოს თავისი თავი ბალახების საკუთარი თესლით მათთვის დამტკიცებული სახელმწიფო გეგმების შესაბამისად.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲗᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲗᲣ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ.

3. დაეკალოთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროს, სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს 1946 წელს უზრუნველჰყონ მრავალწლიანი ბალახების ნათესის, სახელმწიფო გეგმის, სათესლე ნაკვეთების დატოვების სახელმწიფო გეგმის აუცილებელი შესრულება, აგრეთვე სათესლე ნაკვეთების სათანადო მოვლა, მათი მოსავლის დროული აღება, გალეწვა და გამოფშვნა.

4. დამტკიცდეს 1947 წლისათვის მრავალწლიანი ბალახების თესვის სახელმწიფო გეგმა სსრ კავშირის მიწათმოქმედების, სსრ კავშირის მეცხოველეობის, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროების საბჭოთა მეურნეობებში 968 ათასი ჰექტარის ოდენობით ის ვარაუდით, რომ მრავალწლიანი ბალახების ნათესები 1950 წელს აყვანილ იქნას 1.235.000 ჰექტარამდე და სათიბები—3.597.000 ჰექტარამდე.

5. რადგან ბალახების თესლის მოსავლის საქმენი ვერ უზრუნველჰყოფს არსებული წესი, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეობებს ეძლევათ ბოლოდ სათესლე ნაკვეთების გამოყოფის დავალები, აგრეთვე იმ მიზნით, რომ გადიდებულ იქნას ადგილობრივი საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების პასუხისმგებლობა ბალახების თესლის მოყვანისათვის, დაწესდეს 1946 წლიდან, რომ მრავალწლიანი ბალახების სათესლე ნაკვეთების გამოყოფის დავალებასთან ერთად მიეცეს დავალებანი ბალახების თესლის მოსავლის დარგში.

დავალათ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს უზრუნველჰყონ კოლეგიურობებში 1946 წელს შეიტანონ მრავალწლიანი ბალახების სულ მცირე 642 ათასი ცენტნერი თესლისა და 1947 წელს სულ მცირე 950 ათასი ცენტნერისა, რაც განაწილდეს რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს მიხედვით:

	მრავალწლიანი ბალახები	მათ შორის		ერთწლიანი ბალახები
		სამეურნეო-სანედლეულო ნათესი	ორივე ეკონომიკურ-ფასეულობანი ნათესი	
ალტაის მხარე	80	20	30	2
არხანგელსკის ოლქი	35	34	—	1,5
ასტრახანის ოლქი	3	—	3	—
ბაშკირეთის ასსრ	80	50	25	17
ბრიანსკის ოლქი	30	28	—	13
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	15	3	2	25
ვლადიკავკაზის ოლქი	35	33	—	1
ვლადიმირის ოლქი	75	73	—	7
ვოლგოგრადის ოლქი	90	88	—	1
ვორონეჟის ოლქი	60	15	35	25
გორკის ოლქი	140	127	8	20
გრუზნოს ოლქი	5	—	5	6
დაღისტნის ასსრ	5	—	5	—
ივანოვოს ოლქი	85	82	—	6
ირკუტსკის ოლქი	10	8	—	10
ყაბარდოს ასსრ	6	2	4	7
კალინინის ოლქი	200	195	—	3
კალუგის ოლქი	50	45	—	18
კემეროვოს ოლქი	15	13	—	—
კიროვის ოლქი	130	125	—	7
კომის ასსრ	8	8	—	—
კოსტრომის ოლქი	100	97	—	4
კრასნოდარის მხარე	120	8	102	65
ყირიმის ოლქი	10	—	9	7
კრასნოიარსკის მხარე	25	18	—	10
კუიბიშევის ოლქი	40	—	32	18
კურგანის ოლქი	25	13	5	5
კურსკის ოლქი	40	32	7	15
ლენინგრადის ოლქი	35	34	—	—
მარეთის ასსრ	20	19	—	—
მოლოტოვის ოლქი	80	78	—	7
მორდვეთის ასსრ	20	18	2	8
მოსკოვის ოლქი	140	135	—	—
მურმანსკის ოლქი	—	—	—	0,5
ნოვგოროდის ოლქი	50	47	—	—
ნოვოსიბირსკის ოლქი	60	30	10	2,5
ომსკის ოლქი	90	20	25	—
ორიოლის ოლქი	25	23	—	—
პენზის ოლქი	50	38	10	—
ზღვისპირეთის მხარე	12	4	—	—
ფსკოვის ოლქი	30	28	—	—
როსტოვის ოლქი	130	—	125	20
რიაზანის ოლქი	70	68	—	50
სარატოვის ოლქი	100	—	65	25
სვერდლოვსკის ოლქი	50	48	—	12
ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ	5	2	3	6
სმოლენსკის ოლქი	73	70	2	4
სტავროპოლის მხარე	145	5	138	25
სტალინგრადის ოლქი	80	75	—	10
ტამბოვის ოლქი	40	27	10	20
თათრეთის ასსრ	65	53	5	45
ტომსკის ოლქი	10	8	—	0,5
ტულის ოლქი	40	37	—	55
ტიუმენის ოლქი	10	8	—	—
უდმურტეთის ასსრ	50	47	—	2
ულიანოვსკის ოლქი	35	10	20	12
ხაბაროვსკის მხარე	4	2	2	5
ჩელიაბინსკის ოლქი	20	7	11	10
ჩიტის ოლქი	5	2	—	5
ჩკალოვის ოლქი	80	—	70	15
ჩუვაშეთის ასსრ	45	41	2	23
იაროსლავლის ოლქი	100	97	—	20
უკრაინის სსრ	670	350	270	600
მოლდავეთის ასსრ	12	—	11	20
ბელორუსიის სსრ	150	145	—	35
ანრეხიოკანის სსრ	20	—	17	2
საქართველოს სსრ	10	1	4	20
ᲰᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ	40	—	6	2
თურქმენეთის სსრ	27	—	27	—
უზბეკეთის სსრ	180	—	180	—
ტაჯიკეთის სსრ	25	—	25	—
ყირგიზეთის სსრ	60	2	58	—
ყაზახეთის სსრ	180	—	120	15
კარელია-ფინეთის სსრ	5	5	—	—

	მრავალწლიანი ბალახები	მათ შორის		ერთწლიანი ბალახები
		სამეურნეო-სანედლეულო ნათესი	ორივე ეკონომიკურ-ფასეულობანი ნათესი	
ალტაის მხარე	11	16		
არხანგელსკის ოლქი	4	6		
ასტრახანის ოლქი	0,3	0,5		
ბაშკირეთის ასსრ	12	17		
ბრიანსკის ოლქი	0,5	3		
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	1,3	2		
ვლადიკავკაზის ოლქი	1,0	3		
ვლადიმირის ოლქი	10	17		
ვოლგოგრადის ოლქი	11	16		
ვორონეჟის ოლქი	8	12		
გორკის ოლქი	18	25		
გრუზნოს ოლქი	0,6	2		
დაღისტნის ასსრ	1	2		
ივანოვოს ოლქი	13	20		
ირკუტსკის ოლქი	0,5	2		
ყაბარდოს ასსრ	1	2		
კალინინის ოლქი	22	30		
კალუგის ოლქი	5	10		
კემეროვოს ოლქი	2	4		
კიროვის ოლქი	18	27		
კომის ასსრ	1	2		
კოსტრომის ოლქი	15	20		
კრასნოდარის მხარე	12	20		
კრასნოიარსკის მხარე	3	5		
ყირიმის ოლქი	1	3		
კუიბაშევის ოლქი	7	10		
კურგანის ოლქი	4	6		
კურსკის ოლქი	3,0	6		
ლენინგრადის ოლქი	4	6		
მარეთის ასსრ	2	5		
მოლოტოვის ოლქი	14	20		
მორდვეთის ასსრ	1	3		
მოსკოვის ოლქი	20	30		
ნოგოროროდის ოლქი	6	10		
ნოვოსიბირსკის ოლქი	10	15		
ომსკის ოლქი	16	21		
ორიოლის ოლქი	2	8		
პენზის ოლქი	5	10		
ზღვისპირეთის მხარე	2	3		
ფსკოვის ოლქი	2	4		
როსტოვის ოლქი	8	15		
რიაზანის ოლქი	11	15		
სარატოვის ოლქი	25	35		
სვერდლოვსკის ოლქი	6	10		
ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ	0,5	1		
სმოლენსკის ოლქი	5	10		
სტავროპოლის მხარე	12	20		
სტალინგრადის ოლქი	9	14		
ტამბოვის ოლქი	6	10		
თათრეთის ასსრ	6	12		
ტომსკის ოლქი	2	3		
ტულის ოლქი	5	9		
ტიუმენის ოლქი	1	3		
უდმურტეთის ასსრ	6	12		
ულიანოვსკის ოლქი	3	7		
ხაბაროვსკის მხარე	0,1	0,5		
ჩელიაბინსკის ოლქი	2,5	5		
ჩიტის ოლქი	0,2	0,5		
ჩკალოვის ოლქი	15	18		
ჩუვაშეთის ასსრ	5	8		
იაროსლავლის ოლქი	15	22		
აზერბაიჯანის სსრ	3	4		
საქართველოს სსრ	3	4		
სომხეთის სსრ	20	22		
ᲰᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ	6	12		
ყაზახეთის სსრ	35	45		
კარელია-ფინეთის სსრ	1,5	2,5		
ყირგიზეთის სსრ	16	20		
მოლდავეთის სსრ	1	3		
ტაჯიკეთის სსრ	8	9		
თურქმენეთის სსრ	10	12		
უზბეკეთის სსრ	40	43		
უკრაინის სსრ	85	120		

დაწესებული დავალების მიხედვით დაყვანილ იქნას რაიონებამდე, ხოლო რაიონებში კოლმეურნეობებამდე ბალახების თესლის მოსავლის გეგმასთან ერთად აგრეთვე სათესლე ნაკვეთებად გამოსაყოფ ფართობთა ოდენობა, ამასთან თვითეული რაიონისა და კოლმეურნეობისათვის აღინიშნოს მრავალწლიანი ბალახების კულტურები (სამყურა, ტიმოთელა, ინინჯა, კაპუტა და სხვ.).

6. განსაკუთრებით შეუწყნარებლად ჩაითვალოს ბალახთესვის შემცირება იმ რაიონებში, რომლებსაც აქვთ მრავალწლიანი ბალახების თავიანთი ძვირფასი ადგილობრივი ჯიშები: სამყურისა და ტიმოთელასი — მოლოტოვის, სვერდლოვსკის, იაროსლავლის, კიროვის, ვოლოგდის, ორიოლის ოლქებში; ინინჯისა და კაპუტასი — სარატოვის, როსტოვის, სტალინგრადის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის სს რესპუბლიკებში და უკრაინის სს რესპუბლიკის მთელ რიგ ოლქებში; ესპარცეტისა — ვორონეჟის ოლქში, აზერბაიჯანისა და საქართველოს სს რესპუბლიკებში, უკრაინის სს რესპუბლიკის პოლტავის, ბარკოვის, ვინნიცის ოლქებში; ინინჯის, სამყურის, ამერიკული ჭანგას და უფხო შერიელისა — ომსკის, ნოვოსიბირსკის, ჩელიაბინსკის ოლქებში, ალტაის მხარისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში.

დავალოთ აღნიშნული რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს უახლოეს ორ-სამ წელიწადში არამარტო ადადგინონ, არამედ ომამდელ დონეებთან შეაღარონ ბნიშნველოვნადაც გადიდონ მრავალწლიანი ბალახების ადგილობრივი უხვმოსავლიანი ჯიშების ნათესები და მათი თესლის საერთო მოსავალი.

II.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲧᲐᲕᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

7. კოლმეურნეობათა საკუთარი სანერგეებისათვის ბალახების თესლის ძოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისა და ამ თესლის სახელმწიფო ფონდის შექმნის საქმიროების გამო ადადგენილ იქნას, დაწყებული 1946 წლიდან, ომამდე არსებული წესი მრავალწლიანი ბალახების თესლის სახელმწიფო დამზადებისა თვითეული ჰექტარი სათიბის კონტრაქტაციის გზით.

8. დაწესდეს მრავალწლიანი ბალახების თესლის კონტრაქტაციის გეგმა: სამყურასა და ინინჯაზე გადაყვანით 120 ათასი ცენტნერის რაოდენობით 1946 წლისათვის და 200 ათასი ცენტნერის რაოდენობით 1947 წლისათვის.

დაეკალოთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს მრავალწლიანი ბალაწების თესლის კონტრაქტაციის გეგმა დაიყვანონ თვითეულ რაიონამდე იმის გათვალისწინებით, თუ რაიონში რამდენია მრავალწლიანი ბალახების სათიბები და როგორია ბალახნარის მდგომარეობა.

დაწესდეს, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობამდე დაყვანილ უნდა იქნას თესლის კონტრაქტაციით ჩაბარების ერთი და იგივე ნორმა მრავალწლიანი ბალახების სათიბების ყოველ ჰექტარზე.

9. კოლმეურნეობების მიერ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით ჩასაბარებელი მრავალწლიანი ბალახების თესლის დამზადება დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს სახალიწფონდს, დამზადებათა სამინისტროს „ზაგოტზერნოსა“ და „ზაგოტლიონს“.

ამასთან დაკავშირებით, რომ ბალახების სათესლე ნაკვეთების დატოვება და ბალახების სათესლედ გალეწვა შესაბამისად ამცირებს თვიდ გამოსავლიანობას, კოლმეურნეობათა მტე დიენტრეს ებისათვის მარცვლეულის ჩაბარებისა და მტს-ების ეკონ ნწეულ სამეშაოთა ნატურსაზღაურის ანგარიშში ბალახების თესლის ნაოვლის ასრავლური წესის დამატებად ითვალოს კოლმეურნეობების მიერ ჩაბარებული ბალახების თესლის ჩათვლა თითის ჩაბარების ანგარიშში.

10. დაეკალოს დამზადებითა სამინისტროს სსრ კავშირის მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის სამინისტროებთან ერთად ყოველწლიურად დაიწესოს საბჭოთა მეურნეობებს მიერ მრავალწლიანი ბალახების თესლის ჩაბარების ეკეგმა და არა უგვიანეს 1 ივნისისა ჩაბაროს თვითეულ საბჭოთა მეურნეობას სახელმწიფოსათვის მრავალწლიანი ბალახების თესლის ჩაბარების ვალდებულებანი.

11. დაწესდეს, რომ მრავალწლიანი ბალახების თესლის ჩაბარების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შეეფარდებლობისათვის კოლმეურნეობებს თესლის ჩაუბარებელ ნაწილში სამაგიროდ გადახდებად ამ თესლის ღირებულება სახელმწიფო დასამზადებელი ფასების მიხედვით.

12. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისათვის ბალახების თესლის მიცემა დასათესად მარცვლეულზე გადაცვლით სწარმოებს ბალახების თესლის დამზადებისას დაწესებული ეკვივალენტების მიხედვით და ამ თესლში გადახდილ უნდა იქნას დასამზადებელი ფასი ზედნადები ხარჯების დარიცხვით.

13. დაწესდეს, რომ მეთესლეობის მეურნეობების მიერ ჩაბარებული ნასელეკციო და ადგილობრივი ჯიშების მრავალწლიანი ბალახების თესლის ანაზღაურება ხდება დამზადების არსებული ფასების 25 პროცენტის დამატებით. შეა ზნის რესპუბლიკებში, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში დატოვებულ იქნას მეთესლეობის მეურნეობათა მიერ ჩაბარებული ინინჯის თესლის ფულადი ანაზღაურების არსებული წესი.

III.

ᲛᲔᲗᲔᲡᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

14. დაეკალოთ სსრ კავშირის მწათმოქმედების, ტექნიკური კულტურების, მეცხოველეობის, ვკების მრეწველობისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს ჩაბარონ 1946 წელს მრავალწლიანი ბალახების მთელი ნათესების ინვენტარიზაცია და დოკუმენტაცია, დაადგინონ მათი სახელწოდებანი და თესლის წარმოშობა დოკუმენტების საფეძველზე, ხოლო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში—გამოკითხვის წესით, და მიიღონ ღონისძიებანი ყველაზე ძვირფასი ჯიშის ადგილობრივი და სასელექციო ბალახების უ-ზრაფეკი გამოცალითათვის.

15. წარმოებანი ძვირფასი ჯიშის ბალახების ეუწრაფეკი დანერგვის მიზნით ამ ჯიშების თესლის გამრავლება დაეკალოთ სსრ კავშრია მიწათმოქმედებისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროებს სახელმწიფო სასელექციო და საცდელ სადგურებს და სხვა საოოფლო-სამეურნეო სპეციფიურ-საკვლევ დაწესებულებებსა და მარცვლეული კულტურების რაიონულ მეთესლეობის მეურნეობებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. გარდა ამისა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყოს მრავალწლიანი ბალახების 430 სპეციალური მეთესლეობის მეურნეობა.

მრავალწლიანი ბალახების მეთესლეობის მეურნეობების მოწყობის დროს უპირატესობა მიეცეთ ამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებსაც თავიანთ მინდვრებში აქვთ მრავალწლიანი ბალახების კარგი ნათესები და რომლებმაც თესლის ეეხვი მოსავალი მიიღეს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეთესლეობის მეურნეობათა მოწყობას იმ რაიონებში, რომლებსაც აქვთ სამყურის, ინინჯის, ტიმოთელის, კაპუტის და სხვა მრავალწლიანი ბალახების ძვირფასი ადგილობრივი ჯიშები, რათა ამ რაიონებში მოეწყოს ბალახების თესლის სწრაფი განვითარება და მისი საკმაო რაოდენობით მოება.

16. დაწესდეს, რომ ბალახებს სპეციალურ მეთესლეობის მეურნეობებს და მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებს, სახელმწიფო სასელექციო სადგურებსა და სამეცნიერო-საკვლევ

(ᲓᲐᲡᲚᲘᲡᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახთესვის გაფართოებისა და მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

დაწესებულებებთან ერთად, ყოველწლიურად მოჰყავთ საუკეთესო ადგილობრივი და სასელექციო ჯიშის ბალახების თესლი და აბარებენ მას სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს სახჯიშფონდს, თესლის იმ რაოდენობის გამოკლებით, რაც საჭიროა თავის მეურნეობაში დასათესად.

დაწესდეს, რომ სახელმწიფო სასელექციო სადგურების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, მეთესლეობის რაიონული მეურნეობების, მეთესლეობის სპეციალური მეურნეობებისა და ბალახების სათესლე მეურნეობების მიერ მოყვანილი და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს სახჯიშფონდის მიერ დამზადებული ადგილობრივი და სასელექციო ჯიშის მრავალწლიანი ბალახების თესლი გამოყენებულ უნდა იქნას გასამრავლებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათანადო სამინისტროთა გეგმების მიხედვით.

17. დაევალოთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს ყოველწლიურად დააწესონ რესპუბლიკური, სამხარეო ან საოლქო დაქვემდებარების სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა, მეთესლეობის რაიონული მეურნეობებისა და ბალახების სპეციალურ მეთესლეობის მეურნეობათა მიერ მრავალწლიანი ბალახების თესლის მოყვანის გეგმები და წარუდგინონ ისინი თვითეული წლის არა უგვიანეს 1 დეკემბრისა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროს და სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროს მათს გამგებლობაში მყოფი მეურნეობების მიხედვით.

18. დაევალოთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროს და სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სამხარეო (საოლქო) აღმასკომების წარდგენით 1946 წლის 15 ივნისამდე დაამტკიცონ იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სია, სადაც ეწყობა ბალახების სპეციალური მეთესლეობის მეურნეობანი.

19. ნება დაერთოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს სახჯიშფონდს მისცეს მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებსა და ბალახების სპეციალურ მეთესლეობის მეურნეობებს იმ ჯიშის მრავალწლიანი ბალახების თესლი, რომლებიც გამრავლებულ უნდა იქნან ამ მეურნეობებში.

აღნიშნული მეურნეობებისათვის თესლის მიცემა სწარმოებს უპროცენტო სესხის სახით თესვის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

20. დაწესდეს, რომ თვითეულ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას, რომელშიც შექმნილია ბალახების სპეციალური მეთესლეობის მეურნეობანი, უნდა ჰყავდეს მეთესლე აგრონომი. აღნიშნული აგრონომის შენახვის ხარჯები გაღებულ უნდა იქნას საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან.

ბალახების სპეციალურ მეთესლეობის მეურნეობათა მეთესლე აგრონომები ხელფასის მხრივ გათანაბრებულ იქნან მარცვლეული კულტურების ელიტურ მეურნეობათა აგრონომებთან.

21. დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს:

ა) 1946 წელს კოლმეურნეობებში 50 ათას ჰექტარზე ჩაატარონ იონჯის საზაფხულო თესვა სათესლედ ანეულებში შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებზე (ათას ჰექტარობით):

ვორონეჟის ოლქი	2,5
კრასნოდარის მხარე	6,0
ყირიმის ოლქი	0,5
კუიბიშევის ოლქი	2,5
პენზის ოლქი	1,5
როსტოვის ოლქი	5,0
სარატოვის ოლქი	2,5
სტავროპოლის მხარე	5,0
სტალინგრადის ოლქი	2,0
ტამბოვის ოლქი	0,5
უკრაინის სსრ	19
ჩკალოვის ოლქი	3,0

ბ) 1947 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში სარწყავ ლიმანისა [illegible]

ასტრახანის ოლქში	1,5 ათასი ჰექტ.
კუიბიშევის ოლქში	2,5 »
ჩკალოვის ოლქში	3,0 »
სტალინგრადის ოლქში	5,0 »

რჩევა მიეცეთ სხვა რაიონების კოლმეურნეობებსაც სარწყავი ლიმანისა და ნარწყავი მიწები გამოიყენონ იონჯის სათესლე ნათესებისათვის.

22. დაევალოთ უზბეკეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველჰყონ იონჯის ნათესების რწყვა მოთხოვნილებისამებრ, გადაჭრით აღკვეთონ მთელ რიგ რაიონებში არსებული პრაქტიკა იონჯის ბალახნარის გახმობისა.

იმ რაიონებში, რომლებიც გაზაფხულის პერიოდში საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილნი სარწყავი წყლით, ჩაატარონ იონჯის საზამთრო და ადრეული საგაზაფხულო ჭამარაგო რწყვა.

23. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სამყურისა და სხვა თაფლოვანი ბალახების მოსავლის გადიდების მიზნით მიიღონ ზომები საფუტკრეების მოსაწყობად და სკები გაიტანონ ბალახების სათესლე ნაკვეთებში ბალახების ყვავილობის დროს.

დაევალოთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს 1946 და 1947 წლებში მოაწყონ სულ მცირე 25-30 სკიანი საფუტკრეები მეთესლეობის ყველა იმ მეურნეობაში, რომლებსაც მოჰყავთ სამყურისა და სხვა თაფლოვანი ბალახების თესლი.

24. დაევალოთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურების, მეცხოველეობის, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს უზრუნველჰყონ:

ა) 1946 წლის შემოდგომაზე და 1947 წლის გაზაფხულზე ყველაზე უფრო ძვირფასი მარცვლოვანი ბალახების სათესლე ნაკვეთების მოწყობა სულ მცირე 120 ათასი ჰექტარის რაოდენობით და თესვისათვის გამოიყენონ 1946 წლის მოსავლის თესლი;

ბ) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1946 წელს ტიმოთელის, მდელოს წივანას, კაპუეტის, უფხო შვრიელისა და ფრანგული კოინდრის ბალახნარის საჭირო რაოდენობით გამოყოფა სათესლედ.

25. ბალახების თესლის აგროტექნიკის გაუმჯობესების, აღების, გალეწვისა და გაწმენდის მექანიზაციის გაძლიერების მიზნით დაევალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს:

ა) აღადგინოს სათეს მანქანებზე დასადგმელი ბალახსათესი მოწყობილობის წარმოება და უზრუნველჰყოს მისი გამოშვება 1947 წელს 7 ათასი ცალის რაოდენობით;

ბ) აღადგინოს ბალახების თესლის გასალეწი, გამოსაფშვნელი და გასაწმენდი მანქანების წარმოება და უზრუნველჰყოს შემდეგი რაოდენობით გამოშვება:

	1946 წელს	1947 წელს
მკ—1100 სალეწი მანქანებისა სამყურის გასალეწი მოწყობილობით	1.000	4.000
„კუსკუტის“ დამხარისხებლისა	—	4.000
ელექტრომაგნიტური მარცვალსაწმენდი მანქანებისა	—	800
კომბაინების მოწყობილობისა სამყურისა და იონჯის ასაღებად	1.000	3.000
სამყურის ცხენის საფშვნელისა	900	4.000

ავიაციის მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველჰყოს 1946 წელს 2.000 და 1947 წელს 3.000 სამყურის ცხენის საფშვნელის გამოშვება.

26. დაევალოთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს 1946 წლის 20 მაისამდე დააწესონ გეგმები ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მიერ სამყურის უმარტივესი საფშვნელებისა და სალეწ მანქანებზე დასადგმელი ბალახების თესლის გასალეწი და გამოსაფშვნელი მოწყობილობის დამზადებისა 1946 წელს.

27. დაევალოს ქიმიური მრეწველობის სამინისტროს მიაწოდოს 1946 წელს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროსა და სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროს 200 ტონა მაგნიტური ფხვნილი თესლსაწმენდ პუნქტებში ბალახების თესლის წმენდის ჩასატარებლად.

28. დაევალოთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროსა და სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროს, უზბეკეთის, ლატვიისა და უკრაინის სს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და კრასნოდარის სამხარეო აღმასკომს აღადგინონ და გაადიდონ ძირითადი თესლსაწმენდი ქარხნების ნაყოფიერება (იონჯის საწმენდი ქარხნისა ყარა-კალფაკეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ ნუკუსში, გულკევიჩის ქარხნისა—კრასნოდარის მხარეში, კიევისა — უკრაინის სს რესპუბლიკაში, რიგისა—ლატვიის სს რესპუბლიკაში და სხვ.), პირველ რიგში უზრუნველჰყონ ისინი მანქანებით, ძრავებითა და მოწყობილობით და ჩაატარონ საჭირო სამშენებლო სამუშაოები.

29. მრავალწლიანი ბალახების სათესლე ნაკვეთებზე მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების უზრუნველყოფის მიზნით დაევალოთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროსა და სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს 1946 წელს ბალახების თესლის აღება კომბაინებით ჩაატარონ სულ მცირე 230 ათას ჰექტარზე, ბალახების თესლის გალეწვა და გამოფშვნა მტს-ების მანქანებით—სულ მცირე 400 ათას ჰექტარზე.

30. ბალახების თესლის აღებასა და გალეწვასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ჩატარებაში კომბაინერებისა და მემანქანეების მეტი დაინტერესების მიზნით:

ა) რჩევა მიეცით კოლმეურნეობებს შემოიღონ, დაწყებული 1946 წლიდან, სამუშაოთა დამატებითი ანაზღაურება მარცვლეულით:

თესლის გალეწვასა და გამოფშვნაზე [illegible]

ცენტს გარდა, მხოლოდ გალეწვაზე ან მხოლოდ გამოფშვნაზე მომუშავე მემანქანეებს ყოველ ცენტნერ გალეწილ ან გამოფშვნილ თესლში მიეცეთ ერთი კილოგრამი მარცვლეული, ხოლო ყოველ ცენტნერ ესპარცეტის თესლში 500 გრამი მარცვლეული;

ბ) კომბაინერებს მარცვლეული კულტურების აღებული ფართობისათვის მარცვლეულით მისაცემი ნატურალური პრემიის გამოანგარიშებისას მრავალწლიანი ბალახების სათესლე ნაკვეთების თვითეული აღებული ჰექტარი ჩაეთვალოთ 5 ჰექტარ მარცვლეულ კულტურებად.

31. დატოვებულ იქნას არსებული სისტემა იმ აგრონომების, რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სამიწათმოქმედო ორგანოების, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა პრემირებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბალახების თესლის უხვი მოსავლის მიღებისა და ამ თესლის დამზადების ორგანიზაციის საქმეში.

32. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში 1946 წელს კურსდამთავრებულთაგან 120 აგრონომი და 1947 წელს 150 აგრონომი სამუშაოდ გაგზავნოს ბალახების სპეციალურ მეთესლეობის მეურნეობებში და სათესლე მეურნეობებში, საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებებში, ტექნიკური კულტურების განყოფილებებში, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სამინისტროებსა და ტექნიკური კულტურების სამინისტროებში.

33. დაევალოთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სამინისტროს, მეცხოველეობის სამინისტროს, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად-საკავშირო აკადემიას და ვ. რ. ვილიამსის სახელობის საკვებთა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს გააუმჯობესონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ბალახების თესვის დარგში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბალახების შეტანას ახალ რაიონებში, ბალახების ადგილობრივი უხვმოსავლიანი ჯიშების სწრაფად გამრავლებას, პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანას, რომლებიც შეეგუებიან ციმბირისა და ვოლგისპირეთის გვალვიანი რაიონების მკაცრ პირობებს.

34. წინადადება მიეცეთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს ამ დადგენილების საფუძველზე თვითეული რაიონისათვის შეიმუშაონ ბალახთესვის აღმავლობისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებანი და სსრ კავში- [illegible] 1 ნოემბრისა.

თბილისი გამარჯვების დღეს

სადღესასწაულოდ მორთულ ქალაქს ადრე გამოეღვიძა. მაისის ამ ბრწყინვალე დილას განსაკუთრებით ლამაზი და წარმტაცი იყო თბილისი. გულსახარებდა ყვავილებით მოქარგული სკვერები, მწვანედ მობიბინე პარკები და ბაღები, მზის სხივებზე მოლვარე წითელი დროშები, დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლების პორტრეტები, ლოზუნგები, პლაკატები. სიმღერა, მუსიკა, ცეკვა, მხიარული ჟრიამული იყო ყველგან. ქალაქი ზეიმობდა მტერზე გამარჯვების წლისთავს. ქალაქი უმღეროდა და დიდებით მოსავდა გმირ წითელ არმიას, გამარჯვებულ საბჭოთა ხალხს და მის ბელადს დიდ სტალინს.

ბერიას სახელობის მოედანი...

დიდი სიხარულისა და ზეიმის დღეს აქ ყოველთვის იყრიან თავს დედაქალაქის მშრომელნი. რამდენიმე დღის წინათ 1 მაისის დღეობაზე აქ, მთავრობის ტრიბუნის წინ, მწყობრი რიგებით ჩაიარეს თბილისის მშრომელთა კოლონებმა... ახლა მოედანზე მოზეიმე ხალხს კვლავ მოუყრია თავი. მოედნის წინ, თბილისის საბჭოს შენობის ფრონტონზე დიდი სტალინის სურათია აღმართული. მოედნის ირგვლივ შენობების ფასადებზე ბელადის თანამებრძოლთა პორტრეტებია.

ტრიბუნის წინ გამართულ ესტრადაზე გამოვიდნენ ვოკალისტები, ქორეოგრაფები, მუსიკოსები.—აქ გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ნ. ვაჩნაძემ, თ. ჭავჭავაძემ, პ. კობახიძემ, ს. ჯაფარიძემ, გ. სალარაძემ, ვ. ბრაგინმა, ი. ბოდროვმა, მ. ჩიჯავაძემ, ნ. გოლუბევამ, გ. ნასიძემ, ს. ბარხუდაროვმა, მ. თაბუკაშვილმა და სხვებმა. თავიანთი პროგრამით გამოვიდნენ მ. თარხნიშვილის გუნდი და უზბეკეთის ცირკის კოლექტივი, რომელსაც რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ტაშკენბაევი ხელმძღვანელობს. დრო და დრო ორკესტრი ლექურის აღმგზნებ ბგერებს ჰფენდა მოედანს. ახალგაზრდები უმალ წრეებს ჰკრავდნენ — მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ. ესტრადაზე გამოვიდა მომღერალთა გუნდი... ნომხიბლველ ჰანგებად დაიფანტა ქართველთა გულისთქმა:

„ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო,
ჩვენო დიდო მოამაგე,
გაიშალა ის ნაყოფი,
შენ რომ შენის ხელით დარგე“.

...დილიდანვე სიხარული ჩადგა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. ყველაზე ადრე პიონერები ეწვივნენ პარკს, შემდეგ სტუმრად მოვიდნენ სამხედრო-მუსიკალური სკოლის მოსწავლეები და ნორჩი ნახიმოველები. საღამოს აქ დიდი სახალხო სეირნობა გაიმართა. პარკში განუწყვეტლივ უკრავდა ორკესტრი პერეუხინის ხელმძღვანელობით. ესტრადაზე, მოედნებზე და თეატრში საგანგებოდ შერჩეული პროგრამა სრულდებოდა. უკრავდა დუდუკი, საზანდარი, ბაიანი.

საღამოს ათასობით თბილისელი ავიდა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. მთაწმინდის გორაკიდან თვალწარმტაცი სანახაობად იყო გადაშლილი გაჩირაღდნებული, მოზეიმე დედაქალაქი.

ზეიმობდა თბილისში გამარჯვების დღეს ყოველი მუშა, მოსამსახურე, ინტელიგენტი. ეს იყო ზეიმი ხალხისა, რომელმაც გადაიტანა ისტორიაში უმაგალითო ომის სიმწარე და უდიდესი გამარჯვების სიამე შეიტკბო.

საღამოს 9 საათზე იქუხეს ქვემეხებმა. დედაქალაქი ოცდაათი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევდა გამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავად.

გამარჯვების დღესასწაული 9 მაისი დიდი ზეიმით აღნიშნეს თბილისის მშრომელებმა. დედაქალაქის მოედნებზე, პარკებსა და ბაღებში გაიმართა სახალხო სეირნობანი. სურათზე: ზეიმი ბერიას სახელობის მოედანზე. ფოტო რ. აკოფოვისა.

დიდი გამარჯვების წლისთავი

მოსკოვი

9 მაისს მოსკოვმა იდღესასწაულა ფაშისტურ გერმანიაზე ისტორიული გამარჯვების პირველი წლისთავი. საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე მრავალ ათეულ ათასობით მოსკოველი იყო.

დღესასწაული იყო ყველგან—ქუჩებში, მოედნებზე, ყოველ სახლში.

დღესასწაული იყო ყველგან, და მაინც მისი ცენტრი, როგორც ყოველთვის სახალხო ზეიმის დღეებში, წითელი მოედანი გახდა. მისი მორთულობა, როგორც ჩვეულებრივ, სადა და დიდებულია. ვეებერთელა დროშებით გარემოსილია ლენინისა და სტალინის პორტრეტები. ცენტრში წარწერა: „გაუმარჯოს საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს—გამარჯვების დღესასწაულს!“ „გუმ“-ზე აღმართულია ორი გასხივოსნებული ორდენი „გამარჯვებისა“.

ქვით მოგებულ ვრცელ მოედანზე თავი მოუყრიათ მუშებს, მეცნიერებსა და ხელოვნების ადამიანებს. ისინი ყველანი სულ ამ რამდენიმე ხნის წინათ მონაწილეობდნენ საპირველმაისო დღესასწაულში. დღეს ისინი კვლავ ძველი კრემლის კედლებთან არიან.

...ხმაურობს, ზეიმობს მოსკოვი. ავტომობილების სატვირთო პლატფორმები ესტრადებად გადაქცეულან. პრიალებს ორკესტრების საყვირები. ხელიხელჩაკიდებულ ახალგაზრდებს წრეები გაუკეთებიათ, რომელთა ცენტრში ცეკვაა გაჩაღებული. მხიარულად იდღესასწაულეს 9 მაისს გამარჯვების ზეიმი ვლადიმერ ილიჩის სახელობის ქარხნის მუშებმა. წინადღით მათ სამუდამოდ შესანახავად გადაეცათ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. სიხარული სუფევდა ილიჩის სახელობის ქარხნის მუშების ვოსოლკინის, სემიონოვის, ერმოლოვისა და სხვა დემობილიზებული მეომრების ოჯახებში. მათ გზამ გამარჯვებისაკენ სტალინგრადზე გაიარა. მათ გადალახეს დნეპრი, ვისლა, ოდერი, ბრძოლებით შევიდნენ ბერლინამდე და ახლა უმაღლესი ჯილდოებით დაუბრუნდნენ მშობლიურ ქარხანას.

მრავალი მღელვარე შეხვედრა მოხდა გუშინ მოსკოვის ქუჩებში. მანეჟის მოედანზე გამართულ ესტრადასთან კონცერტის დროს მოულოდნელად შეხვდა ერთმანეთს ორი ფრონტელი მეგობარი—პაპოვი ვორონოვი და პოპოვი იაკოვი ვასილევიჩი. ორივენი იაკოვლის მოსკოველნი, იბრძოდნენ ელნიასთან, ომის უკრაინის ტრამალებში, დონზე. ომმა ერთმანეთს დააშორა მეგობრები. ვორონოვი ბერლინამდე მივიდა, ვასილიევი შორეულ აღმოსავლეთში დამთავრა ომი. და აი გამარჯვების დღეს ისინი კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ, აჩქარდ მშვიდობიან, მოზეიმე მოსკოვში.

ხალხმრავალი და მხიარულია დედაქალაქის ცენტრალური მაგისტრალი—გორკის ქუჩა. სახლების თავზე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები ფრიალებენ. პუშკინის მოედანი გამოცოცხლებულია. სადღესასწაულო ბაზრის მორთულობა-კომეჟის კოოპერატივები ამ ხანაში ადამიანი დგას. აქვე ესტრადაზე მხატვრული თვითმოქმედების კონცერტია, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და აკრობატები გამოდიოდნენ სვერდლოვის მოედანზე.

მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ დედაქალაქის სტუმრებს — ხალხურ მთქმელებს — აშუღებს, აკინებს და ბახშიებს. ისინი ეროვნული ტანსაცმელით გამოწყობილნი გამოვიდნენ და დიდებას ადიდებდნენ დიდ მეომრებს, მშობლიურ სტალინს.

გუშინ მასობრივი სახალხო სეირნობები გაიმართა სემიონოვის მოედანზე, კულტურისა და დასვენების, სოკოლნიკის და ცენტრალურ პარკებში. გამოვიდა ათობით ორკესტრი და ანსამბლი.

4 საათზე მოსკოვში წვიმა მოვიდა. წვიმა შეწყდა, როცა ქალაქზე ბინდი ჩამოწვა. გაანათა ილუმინაციების შუქმა, და დედაქალაქში დღესასწაული ახალი ძალით გაჩაღდა. იგი გადავიდა კულტურის სასახლეებში, კლუბებში, თეატრებში.

ყველგან ნაცნობი მოსმენილი ხმები რადიოსადგურისა. რადიომ გადასცა ამხანაგ სტალინის ბრძანება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების პირველი წლისთავის გამო.

22 საათზე.... ავრიალა სადღესასწაულო სა- [illegible]

ლენინგრადი

ლენინგრადი, 9 მაისი. (საქდესი). ლენინის ქალაქმა ზეიმით იდღესასწაულა გამარჯვების დღე. ლენინგრადელები უდიდესი მადლობის გრძნობით ადიდებენ გამარჯვებულ წითელ არმიას, სიყვარულით ამეორებენ გამარჯვების შემოქმედის სახელს.

ნევისა და ლიტეინი პროსპექტებზე, სხვა ქუჩებსა და მოედნებზე — ყველგან დიდი სტალინის, მისი თანამებრძოლების, წითელი არმიის სარდლების პორტრეტებია. მკაფიო პლაკატები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები აღძრავენ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პირველი წლის შედეგებს, მოუწოდებენ სტალინური ხუთწლედის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლისაკენ.

დღესასწაული დაიწყო ლენინგრადელთა ახალგაზრდა თაობის გამოსვლით. დილიდან ქალაქის ცენტრისაკენ ორკესტრებით და დოლის დაკვრით ყველა კუთხიდან მიდიოდნენ პიონერთა რაზმები. 30 ათასზე მეტმა პიონერმა გაიარა საპარადო მწყობრით; ისინი დღესასწაულებენ თავიანთი მამებისა და ძმების მიერ მოპოვებულ გამარჯვებას.

პარადის შემდეგ პუშკინის სახელობის დრამის თეატრში შესდგა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ნორჩ პიონერთა საერთო-საქალაქო შეკრება.

12 საათზე დაიწყო დიდი სადღესასწაულო სასპორტო შეჯიბრება.

* * *

საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს ლენინგრადელებს არ დავიწყნიათ ისინი, ვინც თავიანთი ნათელი სიცოცხლე შესწირა დიდ გამარჯვებას. ქალაქის მშრომელთა მრავალმა დელეგაციამ ინახულა დღეს ლენინის ქალაქისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა საფლავები.

* * *

საღამოს ქალაქში დაიწყო სახალხო სეირნობა.

9 საათსა და 30 წუთზე იგრიალა გამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავი საზეიმო სალუტის პირველმა ზალპმა. ფეიერვერკის შუქმა გაანათა ათასობით ლენინგრადელით გავსებული ქალაქის დიდებული პროსპექტები და ქუჩები.

კიევი

კიევი, 9 მაისი. (საქდესი). 9 მაისს დილიდან ქალაქის ქუჩები, მოედნები, ბაღები, სკვერები, პარკები სადღესასწაულოდ მორთულ ჰკვეცილობით ჰყავს.

ყველაზე მეტი ხალხია „დინამოს“ სტადიონზე. აქ მიმდინარეობს სასპორტო შეჯიბრება.

მოედნებზე და პარკებში გამოდიოდნენ საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის არტისტული ძალები და მხატვრული თვითმოქმედების წრეები.

კრეშჩატიკსა და მას მომიჯნავე ქუჩებზე მრავალი ორკესტრის გუგუნში შესდგა მასობრივი ცეკვა-თამაში.

საღამოს ცა გაანათა ნაირ-ნაირი ფერის რაკეტებისა და ფეიერვერკის ათასობით შუქმა. საარტილერიო სალუტის მძლავრი ზალპი ორკესტრების ხმას შეუერთდა და გამარჯვების ერთიანი მძლავრი სიმფონია შექმნა.

ერევანი

ერევანი, 9 მაისი. (საქდესი). გამარჯვების დღის ამ სასიხარულო დილას ქალაქი მუსიკის გუგუნმა გამოაღვიძა. ყვავილებით, ლოზუნგებით მორთულ ქუჩებში ათიათასობით ადამიანი გამოვიდა. მოედნებზე, სტადიონებსა და პარკებში დილიდანვე დაიწყო სახალხო სეირნობა.

ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასზე მეტმა მშრომელმა, შესდგა ერევნის „დინამოს“ სტადიონზე. მიტინგის მონაწილეებმა მქუხარე ოვაციით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

მთელ დღეს არ შეწყვეტილა ზურნის ხმა ლენინის სახელობის მოედანზე, სადაც გამო- [illegible]

მინსკი

მინსკი, 9 მაისი. (საქდესი). ბელორუსიის სოფლები და ქალაქები სადღესასწაულოდ მოირთვნენ.

საზეიმო სახე აქვს რესპუბლიკის დედაქალაქ მინსკს. მოედნები და ქუჩები ისე გაიდაგმნილან, რომ კაცი ვეღარ იცნობს. ბელორუსული ჩუქურთმებით გაფორმებულ უზარმაზარ ფარებზეა საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინის და წითელი არმიის სახელგანთქმული სარდლების ვეებერთელა პორტრეტები.

როცა ქალაქზე ბინდი ჩამოწვა, სადღესასწაულოდ მორთულ მინსკში ილუმინაციების შუქი გაბრწყინდა. მთავრობის სახლის თავზე თვალისმომჭრელი პროჟექტორები აინთო და გააშუქა ვ. ი. ლენინის მონუმენტური ძეგლი და მოედანი, რომელიც მის სასიქადულო სახელს ატარებს.

საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე დაიწყო საარტილერიო სალუტი. ცა გაანათა ნაირ-ნაირი ფერის შუქმა და პროჟექტორების სხივებმა.

ზედიზედ იგრიალა ქვემეხების 30 ზალპმა.

გამარჯვების დღე ზეიმით აღნიშნა რესპუბლიკის პარტიზანული ქალაქებმა და სოფლების მოსახლეობამ.

სტალინგრადი

სტალინგრადი, 9 მაისი. (საქდესი). გამარჯვების დღეს სტალინგრადელებმა ახალ-ახალი შრომითი წარმატებით შეხვდნენ. მეტალურგიულ ქარხანა „წითელ ოქტომბერში“ ამუშავდა მძლავრი მარტენის ღუმელი, რომელმაც გამოუშვა პირველი ნადნობი მაღალხარისხოვანი ლეგირებული ფოლადი. სტალინგრადის ელექტროსადგურში ამუშავდა სათავადოთ უკანასკნელი აღდგენილი ქვაბი, ამოძრავდა კიდევ ერთი მძლავრი ტურბინი. ათასობით მშენებელმა გამარჯვების დღეს თავისი შრომითი რეკორდები უძღვნა. წარჩინებულმა კალატოზმა ივანე შჩერბაკოვმა და მებათქაშე ვასილ კოლობოვმა 8 საათის განმავლობაში ოცოცი ცვლის ნორმა შეასრულეს.

სტალინგრადელებმა წმიდად აცავეს ვოლგის ციხე-სიმაგრის გმირ დამცველთა ხსოვნას. ყველა ძმათა საფლავი შემკული ათასობით თაიგულითა და გვირგვინით—გმირი წითელი არმიის უკვდავი დიდების აღსანიშნავად.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად ვოლგის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ტყეში შესდგა სახალხო სეირნობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასზე მეტმა მცხოვრებმა. დაღუპულ მებრძოლთა მოედანზე შესდგა ტრადიციული ესტაფეტა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა ფიზკულტურელმა.

ვლადივოსტოკი

ვლადივოსტოკი, 9 მაისი. (საქდესი). ზღაპრულად ლამაზია ამ სადღესასწაულო დღეს ვლადივოსტოკი. ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალთა შენობების სახურავებზე დგას ათობით მძლავრი მოციმციმე და მბრუნავი შუქურები, რომლებიც ნაირფერი ლიმზებით აშუქებენ ქალაქს.

ვლადივოსტოკის მცხოვრებლებს არასოდეს არ უნახავთ ზოლოტოი როგის ბუხტა ასე ლამაზი. წყნარი ოკეანის ფლოტის ხომალდებს რეიდის სანაპირო კედლებთან თავიანთ ანძებზე ქიმიდან ბოლომდე ალუმართავთ უამრავი მრავალფეროვანი ელექტრონათურები. ბუხტას ყველა მხრიდან მაღლა მისრიალებდა წითელი, მწვანე, თეთრი რაკეტები. გამარჯვების დღის ღამე თბილი, მზიანი იყო. ლოზუნგებით, ცოცხალი ყვავილებით, მწვანით მორთულ ქუჩებ- [illegible]

მარშალ ი. ს. კონევსა და საბჭოთა გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფს გადაეცათ პოლონეთის ორდენები

ვენა, 8 მაისი. (საკდესი). ვენაში მყოფმა პოლონეთის მარშალმა როლია-ჟიმერსკიმ ოფიცერთა სახლში პოლონეთის ორდენები გადასცა საბჭოთა კავშირის მარშალს ი. ს. კონევს და საბჭოთა გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფს. როლია-ჟიმერსკიმ მიმართა მარშალ კონევს და სთქვა:

„მხედველობაში იღებს რა თქვენს თვალსაჩინო როლს გერმანელ დამპყრობელთაგან პოლონეთის განთავისუფლებაში, პოლონეთის მთავრობამ პოლონელი ხალხის სახელით ჩვენი სამშობლოს სრული განთავისუფლების წლისთავზე გადასწყვიტა დაგაჯილდოოთ თქვენ, გამოჩენილი მხედართუფროსი, უმაღლესი პოლონური ჯილდოთი—გრიუნვალდის პირველი კლასის ჯვრით. დაე ეს ჯილდო იყოს ჩვენს ხალხებს შორის მუდმივი ურღვევი მეგობრობის სიმბოლო".

საპასუხო სიტყვაში საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა მაღალი ჯილდოსათვის გულწრფელი მადლობა გადაუხადა პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას, პრეზიდენტს ბ-ნ ბერუტს და პოლონელ ხალხს.

შემდეგ როლია-ჟიმერსკიმ საბჭოთა გენერლებსა და ოფიცრებს მიმართა სიტყვით, რომელშიც განაცხადა:

— პოლონელი ხალხი მუდამ მადლობელი იქნება თქვენი, ბატონო გენერლებო და ოფიცრებო. ეს მადლობა ყოველთვის გულითადი იქნება. ერთად დაღვრილმა სისხლმა განამტკიცა მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის. ეს ომი იყო უდიდესი მოვლენა, რომელმაც პოლონელ ხალხს შეაგნებინა, რომ მისი ყველაზე საუკეთესო მეგობრები რუსები არიან. რუსეთსა და პოლონეთს შორის კავშირი, რაც ბრძოლის ველზე შეიქმნა, მტკიცე და რეალური იქნება. თქვენ ძლიერ ბევრი გააკეთეთ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაგაჯილდოოთ მაღალი ჯილდოებით—ვირტუტი მილიტარის ჯვრებითა და გრიუნვალდის მეორე კლასის ჯვრებით.

საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი პრაღაში

პრაღა, 8 მაისი. (საკდესი). ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების დღისა და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის განთავისუფლების დღის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მოწვევით 7 მაისს პრაღაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი. პრაღის მცხოვრებლები გულთბილად შეხვდნენ მარშალ კონევს და მასთან ერთად ჩამოსულ პრაღის განთავისუფლების გმირებს ჯავშანსატანკო ჯარების მარშალ რიბალკოს, გენერალ-პოლკოვნიკებს ლელიუშენკოს, ჟადოვს, მალანდინს, გენერალ-ლეიტენანტ კრაინიუკოვს და წითელი არმიის სხვა გენერლებსა და ოფიცრებს.

ასიათასობით მამაკაცები, ქალები და ბავშვები ქუჩებში გამოვიდნენ. ქალაქის გარეუბანში მარშალ კონევს შეეგებნენ ჩეხოსლოვაკიის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალი სვობოდა, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ბოჩეკი, ჩეხოსლოვაკიის არმიის გენერლები და ოფიცრები.

ვაცლავის მოედანზე მარშალ კონევისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ტრიბუნაზე მარშალ კონევს შეხვდნენ პრემიერ-მინისტრი ფირლინგერი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოსეკი, განათლების მინისტრი ნეედლი, ინფორმაციის მინისტრი კოპეცკი, სსრ კავშირის ელჩი ამხ. ზორინი და სხვები. მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა ფირლინგერმა. საბჭოთა კავშირი ჩვენი საუკეთესო მეგობარია,—სთქვა მან.—სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შორის მეგობრობა იშვა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენს ხალხს აღვზრდით ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მუდმივი ძმობის სულისკვეთებით.

ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალმა სვობოდამ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის იმ საბრძოლო მეგობრობის სიმტკიცეს, რომელიც საერთო ბრძოლაში წარმოიშვა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა პრაღის პრიმატორი ზენკლი, რომელმაც მადლობა გადაუხადა წითელ არმიას ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის.

საპასუხო სიტყვაში მარშალმა კონევმა აღნიშნა წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ ჩეხოსლოვაკიის ხალხთა წარმატებანი რესპუბლიკის მშენებლობაში და უსურვა ჩეხოსლოვაკიას შემდგომი განვითარება და აყვავება.

გამარჯვების დღის დღესასწაული ვარშავაში

ვარშავა, 9 მაისი. (საკდესი). დღეს ვარშავის უდიდეს მოედანზე შესდგა პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პარადი, მიძღვნილი გამარჯვების დღისადმი. პარადი მიიღო მარშალმა როლია-ჟიმერსკიმ. პარადზე იყვნენ: პრეზიდენტი ბერუტი, პრემიერ-მინისტრი ოსუბკა-მორავსკი, პოლონეთის მთავრობის წევრები და გენერალიტეტი. დამსწრეთა შორის იყვნენ—სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ამხ. ლებედევი, სამხედრო ატაშე გენერალი მალცევი, აგრეთვე პოლონეთის მთავრობასთან აკრედიტებულ სხვა დიპლომატიურ მისიათა წარმომადგენლები, საბჭოთა დელეგაცია გენერალ-ლეიტენანტ სუხომლინის მეთაურობით, იუგოსლავიის დელეგაცია გენერალ სკორპიკის მეთაურობით, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის დელეგაცია და სხვები.

უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინებით შემკობის საზეიმო ცერემონიის შემდეგ პრეზიდენტმა ბერუტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ჯარებსა და შეკრებილ მანიფესტანტებს მიულოცა გერმანელ დამპყრობლებზე გამარჯვების წლისთავი. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული პოლონეთის აღდგენისათვის, და მოუწოდა პოლონეთის საზოგადოებრიობის ყველა ფენას, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა, იბრძოლონ პოლონეთის სუვერენული თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, დაიცვან და განამტკიცონ კავშირი და მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, რომელიც ევროპაში მშვიდობის მძლავრი დასაყრდენია.

მარშალ როლია-ჟიმერსკის მოკლე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ დაიწყო მშრომელთა მსვლელობა. მსვლელობა გახსნეს ახალგაზრდობის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც მიჰყვნენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები და პარტიზანები, ხოლო მათ—კოსტიუშკოს სახელობის პოლონელთა 1-ლი დივიზიის ნაწილები, სასანგრო და საინჟინრო ჯარების, კავალერიის, მოტორიზებული არტილერიის, სატანკო ნაწილები. ამავე დროს მოედნის თავზე დაჰქროდნენ პოლონეთის ავიაციის საბრძოლო ესკადრილიები—ავიაგამანადგურებლებისა, ბომბდამშენებისა და მოიერიშეებისა, რომლებიც ცხადჰყოფდნენ პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გაზრდილ ძლიერებას, მათს ნებას და მზადყოფნას—დაიცვან თავიანთი სამშობლოს ზღუდეები ყოველი მტრის ხელყოფისაგან.

პარადს დაესწრო ვარშავის 100 ათასზე მეტი მცხოვრები, რომელნიც დაუვიწყარი სანახაობის მოწმენი გახდნენ.

ვარშავა, 9 მაისი. (საკდესი). 8 მაისს, გამარჯვების დღის წინადღეს, ვარშავაში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან შესდგა ურნების საზეიმო ავსება მიწით, რომელიც ჩამოტანილ იქნა ლენინოსთან მომხდარი ბრძოლის ველიდან, სადაც კოსტიუშკოს სახელობის პოლონელთა დივიზიამ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

ცერემონიას დაესწრნენ: მარშალი როლია-ჟიმერსკი, ვარშავის პრეზიდენტი ტოლვინსკი, პოლონეთის ჯარის გენერლები და ოფიცრები. სსრ კავშირისაგან დაესწრო გენერალ-ლეიტენანტი სუხომლინი, იმ არმიის ყოფილი სარდალი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პოლონეთის ჯარების პირველი რაზმები, სრულიად სლავთა კომიტეტის მდივანი მოჩალოვი და აკადემიკოსი ქებრაკი, იუგოსლავიის არმიის უმაღლესი ოფიცრები გენერალ სკორპიკის მეთაურობით, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის დელეგაცია და სხვები.

მარადი ჩირაღდნების ანთების შემდეგ, სამგლოვიარო მარშის ჰანგებზე ოფიცრები ლენინოდან მოტანილი მიწით ავსებენ ურნებს.

მარშალ ტიტოს ბრძანება გამარჯვების დღესთან დაკავშირებით

ბელგრადი, 8 მაისი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა მარშალ ტიტოს ბრძანება იუგოსლავიის შეიარაღებული ძალებისადმი გამარჯვების დღესთან დაკავშირებით.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ იუგოსლავიის ხალხები მჭიდროდ ითანამშრომლებენ მშვიდობის განმტკიცებისათვის მებრძოლ ყველა დემოკრატიულ ქვეყანასთან. იუგოსლავია დაჟინებით მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მისი სამართლიანი მოთხოვნები და დაუბრუნდეს მას ყველა ტერიტორია, რომელიც უსამართლოდ ჩამოჰგლიჯეს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

პარადი სოფიაში გამარჯვების დღეს

სოფია, 10 მაისი. (საკდესი). გუშინ სოფიაში გამარჯვების დღის აღსანიშნავად გაიმართა სოფიის გარნიზონის ნაწილების პარადი. პარადი მიიღეს რეგენტებმა ტოდორ პავლოვმა და ვენელინ განევმა, რომლებსაც ახლდა სამხედრო მინისტრი დამიან ველჩევი. გარნიზონის ჯარებმა ცერემონიალური მარშით გაიარეს სახალხო კრების მოედანი, რომელიც მორთული იყო გაერთიანებული ერების სახელმწიფო ალმებით. ტრიბუნიდან ჯარებს მიესალმნენ პრემიერ-მინისტრი კიმონ გეორგიევი, მთავრობის წევრები, გიორგი დიმიტროვი, სამამულო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის წევრები. პარადს დაესწრნენ საბჭოთა დესპანი ბულგარეთში კირსანოვი, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ჩერეპანოვი, აგრეთვე წევრები იუგოსლავიის სამხედრო დელეგაციისა, რომელიც 8 მაისს ჩამოვიდა სოფიაში.

გამარჯვების დღე ფართოდ აღნიშნა დედაქალაქის მთელმა პრესამ.

ბევინის გეგმა რურის აუზის შესახებ

პარიზი, 7 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). განიხილავს რა პარიზის მოლაპარაკების მიმდინარეობას, აქაური პრესა კვლავ მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მოკავშირეთა პოლიტიკასთან გერმანიის მიმართ. გაცხოველებით უკეთებენ კომენტარს ბევინის გეგმას რურის მომავალი მოწყობის შესახებ, რაც, გაზეთების ცნობით, ამას წინათ გადაეცა საფრანგეთის მთავრობას.

ბევინის გეგმის ძირითადი პოლიტიკური აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ხანგრძლივი ვადით უცვლელად დატოვებულ იქნას ახლანდელი მდგომარეობა რურის აუზში, რომელიც ოკუპაციის ინგლისის ზონაშია და დღემდე მხოლოდმხოლოდ ინგლისის კონტროლქვეშ იმყოფება. ბევინის გეგმაში ლაპარაკია მხოლოდ რურის მომავალ ბედზე მოკავშირეთა ჯარების მიერ გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტის შემდეგ. ამავე დროს გეგმა სრული დუმილით უვლის გვერდს რურის, როგორც მთელი ევროპის პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემის თანამედროვე მდგომარეობასა და უახლოეს მომავალს. ხოლო სრულებითაც არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ სწორედ ინგლისელების ახლანდელი ბატონ-პატრონობა რურში და მისი პერსპექტივები იწვევენ სერიოზულ უკმაყოფილებას მოკავშირე ქვეყნების საზოგადოებრიობის ფართო წრეების მხრივ როგორც ევროპაში, ასე შეერთებულ შტატებში.

აქაური გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის შეშფოთების საფუძველი აქვს იმ კურსთან დაკავშირებით, რასაც ინგლისელები ატარებენ თავიანთ საოკუპაციო ზონაში, რომელიც რურს და საერთოდ რაინ-ვესტფალიის მთელ სამრეწველო რაიონს მოიცავს. მრავალი ფაქტი, რომლებიც საჯაროდ ცნობილი გახდა, მოწმობს, რომ ინგლისელები არათუ არ სპობენ გერმანიის აგრესიის მთავარ სამხედრო-ეკონომიურ არსენალს, არამედ, პირიქით, ისინი ახორციელებენ გერმანიის მძიმე ინდუსტრიისა და სამხედრო წარმოებათა ამ უმნიშვნელოვანესი ბაზის აღდგენისა და შენარჩუნების პოლიტიკას.

ბევინის გეგმა გვერდს უვლის გერმანიის ოკუპაციის მთელი პერიოდის განმავლობაში რურის საქმეთა საკითხს და სრულებით უგულებელჰყოფს შეშფოთების იმ გრძნობებს, რომლებითაც მოკავშირე ქვეყნებში თვალყურს ადევნებენ რურის ამბების განვითარებას.

ხოლო ჯერ კიდევ პოტსდამის კონფერენციის დროს დასმული იყო საკითხი, რომ ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შექმნილიყო მოკავშირეთა საკონტროლო საბჭო რურისათვის, როგორც გერმანიის ძირითადი სამხედრო-სამრეწველო ბაზისათვის, რომლის შემდგომი ბედი სავსებით უშუალოდ ეხება ყველა იმ მოკავშირე ქვეყნების საარსებო ინტერესებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში. ამ მხრივ რურს უჭირავს სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა, რაც ძირფესვიანად განსხვავდება გერმანიის ყოველი სხვა ნაწილისაგან. ახლა, პარიზის თათბირების დროს, საფრანგეთმა წინადადება წამოაყენა განხილულ იქნას დასავლეთ გერმანიის პრობლემები, გაითვალისწინა რა, უწინარეს ყოვლისა, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა რურში.

მაგრამ ბევინის გეგმა გვერდს უვლის ყოველ წინადადებას, რომელიც კი თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს ეხება, და ლაპარაკობს მხოლოდმხოლოდ უფრო შორეულ დროზე. ამით, როგორც ჩანს, მისი ძირითადი მიზანია გვერდი აუხვიოს საკითხს რურისადმი კონტროლში სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა მონაწილეობის შესახებ და გერმანიის სამხედრო ძლიერების ეს ძირითადი დასაყრდენი მხოლოდმხოლოდ ინგლისელთა სრული ბატონ-პატრონობის ობიექტად შეინარჩუნოს.

ამ გარემოებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს აქაური პრესა. ლონდონის მთავრობას,—სწერს პერტინაქსი გაზეთ „ფრანს სუარში",—განზრახული აქვს შეინარჩუნოს რური მხოლოდმხოლოდ თავის მმართველობაში ახალი გერმანიისა და ახალი ევროპის ჩამოყალიბების მთელი პერიოდის მანძილზე". მაგრამ შემდგომი პერიოდისთვისაც ბევინის გეგმა ითვალისწინებს ინგლისის გავლენის სრულ უპირატესობას დასავლეთ გერმანიაში. ამ გეგმის მიხედვით მოკავშირეთა ჯარების მიერ გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტის შემდეგ რურის ოლქი რაინ-ვესტფალიის სამრეწველო რაიონთან ერთად, დარჩება რა პოლიტიკურად გერმანიის სახელმწიფოს განუყრელ ნაწილად, გერმანიის მთავრობასთან შეთანხმებით 50 წლის ვადით უნდა მოექცეს სამოკავშირეთაშორისო კომისიის კონტროლქვეშ, ხოლო ამ კომისიის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის წარმომადგენლები. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნავარაუდევი კომისიის შემადგენლობაში არ იქნებიან არც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი და არც შეერთებული შტატების წარმომადგენელი. ამით ბევინის გეგმა, რომელიც სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს გამორიცხავს რურის ოლქისადმი კონტროლიდან, ამავე დროს ითვალისწინებს რურის მრეწველობისადმი მომავალ ეკონომიურ კონტროლში მონაწილეობასაც კი ჩამოაშოროს ორი მთავარი მოკავშირე სახელმწიფო. რაც შეეხება სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელობას, იგი მთლიანად უნდა დარჩეს გერმანელების ხელში, რომლებსაც ამ საქმეზე ინგლისელი ხელისუფალნი დააყენებენ.

იუწყებიან რა ბევინის გეგმის შესახებ, გაზეთები მას უარყოფით შეფასებას აძლევენ. აღნიშნავენ, რომ ეს გეგმა ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებს საფრანგეთს. ამ თემაზე მოთავსებულ სტატიებს ასეთი არაორაზროვანი სათაურები აქვს: „ბევინის გეგმა მიუღებელია საფრანგეთისათვის", „პარიზი არ მიიღებს ლონდონის კანონპროექტს რურის შესახებ" და სხვ.

„ასეთმა გადაწყვეტილებამ,—სწერს გაზეთი „პარი პრესი",—შეიძლება მხოლოდ ვითარების ახალი დაძაბვა გამოიწვიოს ევროპაში, რასაც მოჰყვება ახალი კატასტროფა, იმიტომ რომ ერთი და იგივე მიზეზები გარდუვალად იწვევენ ერთსა და იმავე შედეგებს". საერთოდ ბევინის გეგმას განიხილავენ, როგორც ევროპაში „ძალთა წონასწორობის" იმ პოლიტიკის მკაფიო გამოხატულებას, რომლის დროსაც ევროპაში ინგლისის პოლიტიკის დასაყრდენად კვლავ ცდილობენ გახადონ გერმანია, რომელიც წარმოდგენილი აქვთ როგორც რეაქციული სახელმწიფო. ეს ჩემბერლენური პოლიტიკა კარგად ცნობილია ომისწინა პერიოდისა და იმის მიხედვით, რაც მან გამოიწვია. ამ გზას სულ უფრო გარკვევით უბრუნდება ლონდონი ომისშემდგომ პერიოდში, იგონებს ვერსალის, აგრეთვე უფრო გვიანდელი პერიოდის სავალალო გამოცდილებას. აქაური პრესა იხსენებს 1919 წლის საბედისწერო შეცდომებს, რომლებმაც მოამზადეს ნიადაგი გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული ძალების აღორძინებისათვის პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. აღნიშნავენ, რომ ლონდონის ახლანდელმა პოლიტიკურმა კურსმაც გერმანიის მიმართ შეიძლება მხოლოდ ახალი იმედები ჩაუსახოს გერმანიის იმპერიალიზმს, რომელმაც ერთი წლის წინათ კაპიტულაცია მოახდინა. ასეთი კურსი სერიოზულ საფრთხეს უქადის, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის მეზობელ ქვეყნებს, მაგრამ თვით ინგლისსაც და საერთოდ მშვიდობის საქმეს ევროპაში.

ანტონესკუსა და მის თანამონაწილეთა გასამართლება

ბუქარესტი, 6 მაისი. (საკდესი). როგორც ბუქარესტის რადიო გადმოგვცემს, ანტონესკუსა და სხვა რუმინელ სამხედრო დამნაშავეთა საქმის გამო სასამართლოს სალამოს სხდომაზე დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა.

პირველად დაკითხულ იქნა იონ ანტონესკუ. სასამართლოს სხდომის თავმჯდომარისა და საზოგადოებრივ ბრალმდებელთა მიერ მიცემული კითხვები მიზნად ისახავდნენ ანტონესკუს იმპერიალისტური და გამცემლური პოლიტიკის გამორკვევას.

ბუქარესტი, 7 მაისი. (საკდესი). ბუქარესტის რადიო გადმოგვცემს, რომ დღეს დილით ბუქარესტის სახალხო ტრიბუნალში გრძელდებოდა სამხედრო დამნაშავეთა ჯგუფის და მისი მეთაურის იონ ანტონესკუს საქმის გარჩევა. დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე მიხეილ ანტონესკუ. მიხეილ ანტონესკუს პასუხებიდან გამოირკვა, რომ იგი დანაშაულებრივ როლს ასრულებდა იონ ანტონესკუს რეჟიმის დროს.

შემდეგ დაკითხულ იქნენ ბრალდებულები პანტაზი, მარეში, ლეკა და სხვები.

ბუქარესტი, 9 მაისი. (საკდესი). დღეს, სასამართლოში ანტონესკუსა და მის თანამონაწილეთა საქმეზე ბრალდებულმა ეუგენ კრისტესკუმ აჩვენა, რომ თავის პოლიტიკურ ანდერძში ფაშისტური „რკინის გვარდიის" დამაარსებელი კორნელი კოდრიანუ სწერდა, რომ მას ადგილს დაიკავებდა ინჟინერი კლიმი. კლიმის შემდეგ მოყვანილი იყო კიდევ რამდენიმე ლეგიონერის გვარი, შემდეგ დასახელებული იყო ხორია სიმა. ანდერძში ნაჩვენებია, რომ, თუ თოთხმეტივე ლეგიონერი დაიღუპა, „რკინის გვარდია" მანიუს გარეშე უნდა დაიშალოს.

დღეს დაცვის მოწმეებად გამოწვეული მანიუ, ვალერ პოპი და დინუ ბრატიანუ პროცესზე არ გამოცხადდნენ.

ლიბანის დეპუტატთა პალატის პროტესტი პალესტინის საკითხზე ინგლის-ამერიკის კომისიის მოხსენების წინააღმდეგ

ლონდონი, 9 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ბეირუთიდან გადმოგვცემს, რომ 9 მაისს ლიბანის დეპუტატთა პალატამ სხდომის შემდეგ, რომელმაც 3 საათს გასტანა, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც დაგმობილია ინგლის-ამერიკის კომისიის მოხსენებაში პალესტინის საკითხზე მოცემული რეკომენდაციები.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ეს წინადადებანი ეწინააღმდეგებიან არაბთა ქვეყნების ინტერესებს და საფრთხეს უქმნიან ამ ქვეყნების მშვიდობასა და უშიშროებას.

დეპუტატთა პალატა რეზოლუციაში აგრეთვე მხარს უჭერს მოთხოვნას ეგვიპტის ტერიტორიიდან ინგლისის ჯარების სრული ევაკუაციის და ეგვიპტისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

„ოთხთა კონფერენციის" გარშემო

პარიზი, 8 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესია უკვე ორი კვირაა გრძელდება. სესიის მუშაობის პირველი დეკადა მიძღვნილი იყო უმთავრესად იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პირობების განხილვისადმი. გადაწყვეტილებანი მიღებულია მთელ რიგ მეორეხარისხოვან საკითხებზე. შეთანხმებულია ხელშეკრულების შესავალი, გადაწყდა უარყოფილ იქნას ავსტრიის პრეტენზიები სამხრეთ ტიროლზე, სამართლიანად ცნობილ იქნა საფრანგეთის მოთხოვნები საფრანგეთ-იტალიის საზღვრის უმნიშვნელო შესწორების შესახებ, მიღწეულია შეთანხმება ზოგიერთ სხვა მცირე საკითხზე. იტალიის საზავო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზე კი შეთანხმება მიღწეული არ არის. ეს შეეხება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა იტალიის კოლონიების მომავალი, იულიის კრაინის ბედი, იტალიისაგან ასაღები რეპარაციები.

იტალია-იუგოსლავიის საზღვრის საკითხზე, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამერიკელებმა წამოაყენეს წინადადება—მოხდეს მოსახლეობის დაკითხვა (პლებისციტი). მაგრამ, მისდევენ რა მცდარ პოლიტიკურ მეთოდოლოგიას, რაც ტრიესტს სწყვეტს იულიის კრაინას, რომლის ბუნებრივი ცენტრიც იგი არის, ამერიკელებს არა სურთ, რომ პლებისციტი მოხდეს მთელ იულიის კრაინაში, არამედ პლებისციტს აქ მხოლოდ ცალკეული რაიონებით განსაზღვრავენ. საბჭოთა მხარე წინადადებას პლებისციტის შესახებ მისაღებად სთვლის, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ საერთო პლებისციტი მოხდეს მთელ იულიის კრაინაში ტრიესტიანად.

ხუთშაბათიდან მინისტრები ოფიციალურ სხდომებს გარდა, რომლებშიც მონაწილეობენ დელეგაციები მთელი შემადგენლობით, ერთმანეთს ხვდებიან უფრო ვიწრო წრეში; ამ შეხვედრების დროს ივათეულ მინისტრს თან ახლავს 1-2 კაცი. მაგრამ მუშაობის ამ მეთოდს არსებული უთანხმოების გადალახვა არ მოჰყოლია. ამ კვირის დამდეგიდან საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ გადასდო იტალიასთან საზავო ხელშეკრულების ძირითად პრობლემათა შემდგომი განხილვა და შეუდგა დანარჩენ საზავო ხელშეკრულებათა პირობების განხილვას. ამ დარგში, პრესის ცნობების მიხედვით, მიღწეულია ერთგვარი პროგრესი. ისეთ პრობლემებს, როგორიცაა რუმინეთისათვის ტრანსილვანიის დაბრუნება, რუმინეთის საზღვრები სხვა ქვეყნებთან, ბულგარეთის საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან, ფინეთთან საზავო ხელშეკრულების პირობები, უთანხმოება არ გამოუწვევია. რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პირობებას განხილვასთან დაკავშირებით ინგლისისა და ამერიკის დელეგაციებმა დააყენეს დუნაის ნაოსნობის რეჟიმის და ბალკანეთის ქვეყნებთან სავაჭრო პოლიტიკის საკითხი. საბჭოთა მხარემ აზრი გამოსთქვა, რომ ორივე ეს საკითხი, რომლებიც დუნაისპირა სახელმწიფოთა [illegible] შეეხება, არ შეიძლება [illegible] ლებათა [illegible], [illegible] დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. რაც შეეხება დუნაის ნაოსნობის რეჟიმს, როგორც ცნობილია, ეს საკითხი შეეხება არა მარტო უნგრეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს, რომლებთანაც ხელმოწერილ უნდა იქნას საზავო ხელშეკრულებანი, არამედ აგრეთვე მოკავშირე სახელმწიფოებსაც, როგორიცაა ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია.

ამრიგად, პარიზის ორი კვირის თათბირების შემდეგ მიღწეულია ერთგვარი დადებითი შედეგები გარკვეულ პრობლემებზე. მეორე მხრივ, მთელ რიგ დიდი მნიშვნელობის საკითხებზე დელეგაციებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა სრულებით არ შეიძლება გადალახულად ჩაითვალოს. ხოლო სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ბერლინის კონფერენციის ცნობილი გადაწყვეტილებებით მინისტრების საბჭოს წინაშე დასახული და შემდეგ კვლავ საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებით ფიქსირებული ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მომზადდეს საზავო ხელშეკრულებების შეთანხმებული პროექტები, რომლებიც შემდგომ განხილულ უნდა იქნას საზავო კონფერენციაზე 21 სახელმწიფოს მონაწილეობით. სიძნელეები, რომლებიც ამ ამოცანის გადაჭრის გზაზე წამოიჭრა, დაკავშირებულია არა იმდენად უთანხმოების არსებობასთან, ვინაიდან თუ კეთილი სურვილი იქნება, ეს უთანხმოება შეიძლება გადალახულ იქნას, რამდენადაც იმასთან, რომ ამერიკისა და ინგლისის დელეგაციებს აშკარად არა სურთ შეიგნონ, რომ არ შეიძლება თავიანთი ნება თავს მოახვიონ მოლაპარაკების სხვა მონაწილეებს.

რა მიმართულებით უნდა მოველოდეთ მოვლენათა შემდგომ განვითარებას? ბუნებრივია, ჟურნალისტთა წრეებში და პრესის ფურცლებზე საკმაოდ ბევრს მკითხაობენ და წინასწარმეტყველებენ ამის შესახებ. ზოგი მიმომხილველი ცდილობს საქმიანი ანალიზი გაუკეთოს განსახილველი პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ ხერხებს, ზოგი კი მკითხველს აწვდის სენსაციისათვის ნავარაუდევ ლაპარაკს „ჩიხის" შესახებ და ვრცლად მსჯელობს იმაზე, თუ რა მოხდება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის უშედეგოდ დამთავრების შემთხვევაში. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ამერიკის დელეგაციამ წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ საზავო კონფერენცია მოწვეულ იქნას 15 ივნისს. საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც ამ ვადის წინააღმდეგი არ არის, ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინანდელ გადაწყვეტილებათა თანახმად მოკავშირე სახელმწიფოებმა საზავო კონფერენციაზე უნდა მოიტანონ საზავო ხელშეკრულებათა შეთანხმებული პროექტები.

ხელმოწერილია ხელშეკრულება იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ

ბელგრადი, 9 მაისი. (საკდესი). დღეს ბელგრადში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ. იუგოსლავიის მხრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა პრემიერ-მინისტრმა მარშალმა ტიტომ, ჩეხოსლოვაკიის მხრივ — პრემიერ-მინისტრმა ფირლინგერმა. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ტიტომ და ფირლინგერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ხელშეკრულებას ხელმოწერის შემდეგ შესდგა პრეს-კონფერენცია, რომელზეც პრემიერ-მინისტრმა ფირლინგერმა პასუხი გასცა უცხოელ ჟურნალისტთა შეკითხვებზე და აღნიშნა, რომ ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა 20 წლიწადს შეადგენს, ითვალისწინებს ურთიერთდახმარებას გერმანიის ან ყოველი იმ სხვა ქვეყნის აგრესიის შემთხვევაში, რომელიც გერმანიასთან ერთად იმოქმედებდა.

პასუხად იმ შეკითხვისა, თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულება მისი დამდები ორივე ქვეყნის მონაწილეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ფირლინგერმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება სრულებითაც არ ნიშნავს გაერთიანებული ერების ძალებისა და შესაძლებლობისადმი რწმენის უქონლობას. მე დარწმუნებული ვარ, სთქვა მან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უკეთ იმუშავებს, ვიდრე ჟენევის ერთა ლიგა მუშაობდა. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა ჟენევისა და მიუნხენის სავალალო გამოცდილებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამატებითი დახმარება სამედო მოკავშირე მეზობლის სახით შეიძლება მხოლოდ სასარგებლო იყოს ორივე მხარისათვის.

ფირლინგერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ორივე მხარის მონაწილეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, არამედ, პირიქით, სავსებით შეესაბამება მის სტატუტს.

ორი კვანძი უფრო მაგარია, ვიდრე ერთი, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ გოტვალდმა, რომელიც პრეს-კონფერენციას დაესწრო.

ფირლინგერმა აგრეთვე განაცხადა, რომ ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მაგრამ მისგან დამტკიცებას არ საჭიროებს.

ფირლინგერმა დაადასტურა, რომ ჩეხოსლოვაკიას განზრახული აქვს ასეთივე ხელშეკრულება დასდოს პოლონეთთან.

არჩევნებისათვის მზადება საფრანგეთში

პარიზი, 9 მაისი. (საკდესი). გუშინ პარიზის პრეფექტურაში წარადგინეს პირველი 14 სია კანდიდატებისა დამფუძნებელი კრებისათვის, რომლის არჩევნები 2 ივნისს შესდგება [illegible] რებს. სოციალისტურმა პარტიამ, აგრეთვე „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიამ გადასწყვიტეს მომავალ არჩევნებში სხვა პარტიებთან ბლოკი არ შეჰკრან, არამედ [illegible]

[illegible]

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 12 მაისს, დილის 10 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

11 მაისს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში შესდგება კონსულტაცია.

კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. მირიანაშვილი (ქართულ ენაზე) და ამხ. ნოლიანისი (რუსულ ენაზე).

მოქალაქე ნიკოლოზ ილიას-ძე რი-[illegible]

თეატრები

[illegible]

კინოები

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდი[illegible] და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-[illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინა[illegible] ტირაჟი 110.000.